სს „კასს გრუპ“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებები:

1. ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებული უწყისიმოგება-ზარალის კონსოლიდირებული ანგარიშგება
2. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიშგება ფულადი ნაკადების კონსოლიდირებული ანგარიშგება
3. ახსნა-განმარტებები კონსოლიდირებული ფინანსურ ანგარიშგებებში

სს "კასს გრუპ"

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
აქტივები				
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	4	2,330,063	2,512,204	2,376,809
არამატერიალური აქტივები	5	2,139	2,452	2,500
ინვესტიციები	10	20,435	20,435	15,426
სულ გრძელვადიანი აქტივები		**2,352,637**	**2,535,092**	**2,394,735**
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	86,183	1,205,088	59,628
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	12,144,095	8,557,713	4,764,637
მარაგები	8	268,021	50,270	65,510
დარიცხული მოთხოვნები		1,706,773	616,194	288,585
წინასწარ გადახდილი გადასახადები		506,442	179,511	165,751
გაცემული სესხები		15,452,349	1,340,526	117,851
სულ მოკლევადიანი აქტივები		**30,163,864**	**11,949,302**	**5,461,962**
სულ აქტივები		**32,516,501**	**14,484,394**	**7,856,697**
მთლიანი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი		959,717	736,800	-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,573,100	721,222	(1,847,125)
გადაფასების რეზერვი		-	-	-
სულ კაპიტალი		**3,532,817**	**1,458,022**	**(1,847,125)**
ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები	11	25,339,162	9,930,666	6,711,746
ფინანსური იჯარა		-	88,673	482,229
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		**25,339,162**	**10,019,339**	**7,193,975**
მოკლევადიანი ვალდებულებები				
მოკლევადიანი სესხები	11	2,000	2,000	39,230
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	3,139,782	2,943,826	2,467,118
გადასახდელი პროცენტები		502,698	37,541	2,128
საგადასახადო ვალდებულებები		43	23,666	1,372
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		**3,644,522**	**3,007,033**	**2,509,847**
სულ ვალდებულებები		**28,983,684**	**13,026,372**	**9,703,822**
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		**32,516,501**	**14,484,394**	**7,856,697**

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

სს კასს გრუპ
404477954
JSC KASS GROUP

სს "კასს გრუპ"

კონსოლიდირებული მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება 2020 წლის დასრულებული წლისათვის

(ლარში)

	შენიშვნა	2020	2019	2018
ამონაგები	12	3,869,721	3,125,547	1,109,603
თვითღირებულება	13	(244,419)	(239,513)	(1,027,310)
საერთო მოგება		**3,625,302**	**2,886,033**	**82,294**
სხვა შემოსავლები		-	-	-
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	16	(754,157)	(910,783)	(839,945)
მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები	14	(50,807)	(90,400)	(100,909)
სხვა ხარჯები	15	(16,645)	(37,605)	(49,818)
საოპერაციო მოგება		**2,803,692**	**1,847,246**	**(908,378)**
ფინანსური შემოსავალი		1,106,613	330,743	201,312
ფინანსური ხარჯი	17	(1,044,753)	(465,099)	(449,201)
წმინდა სავალუტო ზარალი/მოგება		(1,013,674)	855,456	(97,103)
მოგება დაბეგვრამდე		**1,851,879**	**2,568,347**	**(1,253,370)**
მოგების გადასახადი	18			
წმინდა მოგება		**1,851,879**	**2,568,347**	**(1,253,370)**
სხვა სრული შემოსავალი:				
გადაფასების რეზერვი				
მთლიანი სრული შემოსავალი		**1,851,879**	**2,568,347**	**(1,253,370)**

დირექტორი:

მთ. ბუღალტერი:

სს "კასს გრუპ" 404477954 JSC KASS GROUP

სს ,,კასს გრუპ''

კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი 2020 წლის დასრულებული წლისათვის

ფულადი სახსრების მოძრაობა	2020
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	(1,718,601.61)
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(13,929,368.05)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	15,542,739.32
წმინდა ზრდა (კლება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(105,230.34)
სავალუტო კურსის ეფექტი	(1,013,674.33)
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში	1,205,087.88
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს	86,183.21

სს "კასს გრუპ"

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
(ლარში)

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2018 წლის 31 დეკემბერი	-	-	**(1,847,125)**	**(1,847,125)**
წმინდა მოგება	-	-	2,568,347	**2,568,347**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,568,347	**2,568,347**
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	736,800	-	-	**736,800**
2019 წლის 31 დეკემბერი	**736,800**	-	**721,222**	**1,458,022**
წმინდა მოგება	-	-	1,851,879	**1,851,879**
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,851,879	**1,851,879**
გაცემული დივიდენდი	-	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ზრდა	222,917	-	-	**222,917**
2020 წლის 31 დეკემბერი	**959,717**	-	**2,573,100**	**3,532,817**

დირექტორი:

404477954

მთ. ბუღალტერი:

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა

სს „კასს გრუპ" (შემდგომში "ორგანიზაცია") დაფუძნდა 2014 წლის 09 სექტემბერს, იურიდიული მისამართი: საქართველო, თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, ქერჩის ქ., N12.

2019 წლის 31 დეკემბრის და 2020 წლის 31დეკემბრის მდგომარეობით ორგანიზაციის 100 % აქციათა მფლობელი ფიზ. პირი Hanoch Heinrich Kass.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო პროექტების შემუშავება და ინვესტირება შვილობილ კომპანიებში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ კომპანიებს:

შპს კასს 5 , ს/კ **404555441**, წილი 2019 და 2020 წწ. 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო პროექტების შემუშავება.

შპს კასს დაიმონდ 1, ს/კ **404591116**, წილი 2019 და 2020 წწ. 31 დეკემბრის მდგომარეობით 85%, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამშენებლო პროექტების შემუშავება.

შპს კასს დაიმონდ რეზორტ, ს/კ 404552836, წილი 2019 და 2020 წწ. 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს დასასვენებელი და სხვა მოკლეევადიანი განთავსების საშუალებები.

შპს სითი ბოქსი, ს/კ 439402843, წილი 2019 და 2020 წწ. 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%, ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვა პერსონალური მომსახურების საქმიანობები, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა, საცალო ვაჭრობა არასპეციალიზებულ მაღაზიებში, უპირატესად საკვები პროდუქტებით, ან სასმელებით.

შპს კასს ფორესტ, ს/კ 404590304, წილი 2019 და 2020 წწ. 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%, შეჩერებულია.

შპს კასსბეგი ს/კ 404568614 , წილი 2019 და 2020 წწ. 31 დეკემბრის მდგომარეობით 100%, შეჩერებულია.

2. მნიშვნელოვანი ბუღალტრული აღრიცხვის საფუძველი

ორგანიზაციას თანდართული სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად. და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

სპეციალური დანიშნულების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არის კომპანიის პირველი წლიური ფინანსური ანგარიშგება, რომელიც შეესაბამება მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად. კლასიფიკაციის, აღიარებისა და გაზომვის პრინციპების საფუძვლებს და მომზადებულია იმ მიზნით რომ კომპანიამ მოახდინოს 35 განყოფილების „მსს ფასს-

ზე გადასვლა " 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, როდესაც კომპანია მოამზადებს ფინანსური ანგარიშგების პირველ სრულ კომპლექტს.

3. კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ითვალისწინებს კომპანიისა და მისი შვილობილი კომპანიების მიერ კონტროლირებადი კომპანიისა და ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებას.

კონტროლი მიღწეულია, როდესაც კომპანიას:

- აქვს ძალაუფლება მეორე კომპანიაზე;
- აქვს უფლება ცვალებად შემოსავლებზე მისი ჩართულობიდან გამომდინარე მეორე კომპანიაში;და
- აქვს შესაძლებლობა გამოიყენოს ძალა, რომ გავლენა მოახდინოს შემოსავლებზე.

კომპანია მუდმივად აფასებს, რამდენად აკონტროლებს მეორე კომპანიას და თუ ახალი გარემოებები მიუთითებს, რომ შეიცვალა ერთი ან რამდენიმე კონტროლის გამომწვევი ელემენტი, რომლებიცნახსენებია ზემოთ.

როდესაც კომპანია არ ფლობს ხმის უფლების მქონე აქციების უმრავლესობას ინვესტიციის ობიექტში,მას აქვს უფლებამოსილება ინვესტიციის ობიექტზე იმ შემთხვევაში, როდესაც ხმის უფლება საკმარისია იმისთვის, რომ მისცეს მას პრაქტიკული შესაძლებლობა, განკარგოს ინვესტიციის ობიექტის ცალკეული საქმიანობა ცალმხრივად.

კომპანია განიხილავს ყველა შესაბამის ფაქტს და გარემოებებს, იმისათვის, რათა შეაფასოს არის თუ არა მისი ხმის უფლება საკმარისი შესაბამისი უფლებამოსილების, მათ შორის, შემდეგის მისაცემად:

კომპანიის მფლობელობაში არსებული ხმის უფლებების მოცულობა სხვა აქციონერების ხმის უფლებების მოცულობასთან და განაწილებასთან შედარებით;

- კომპანიის, ხმის უფლების მქონე აქციების მფლობელი სხვა კომპანიების ან სხვა მხარეების პოტენციური ხმის უფლებები;
- სხვა საკონტრაქტო გარიგებებიდან წარმოქმნილი უფლებები; და
- რაიმე დამატებითი ფაქტები და გარემოებები, რომლებიც მიუთითებენ იმაზე, რომ კომპანიას აქვს ან არ აქვს შესაბამისი პროცესების წარმართვის უნარი გადაწყვეტილებების მიღებისას, მათშორის წინა აქციონერთა კრებებზე დაფიქსირებული ხმათა გადანაწილებები.

შვილობილი კომპანიის კონსოლიდაცია იწყება, როდესაც კომპანია მოიპოვებს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე და წყდება, როდესაც კომპანია კარგავს კონტროლს შვილობილ კომპანიაზე. კერძოდ, წლის განმავლობაში შეძენილი ან გათავისუფლებული დამფინანსებლის შემოსავლები და ხარჯები შეტანილია მოგება-ზარალის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ მოიპოვა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე და წყდება იმ დღიდან, როდესაც კომპანიამ დაკარგა კონტროლი შვილობილ კომპანიაზე.

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის თითოეული კომპონენტი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს. კომპანიის შვილობილი კომპანიების შემოსავალი მიეკუთვნება კომპანიის მფლობელებსა და არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს, იმ შემთხვევაშიც კი, თუ არამაკონტროლებელი წილის მფლობელებს აქვთ საბალანსო დეფიციტი. საჭიროების შემთხვევაში, კორექტირებები შედის შვილობილთა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებში, რათა თავიანთი საბუღალტრო პოლიტიკა შესაბამისობაში იყოს ჯგუფის საბუღალტრო პოლიტიკასთან. ყველა ჯგუფის შიდა აქტივები, ვალდებულებები, კაპიტალი, შემოსავლები, ხარჯები და ფულის ნაკადის მოძრაობები ჯგუფის წევრ კომპანიებს შორის მთლიანად ელიმინირდება კონსოლიდაციისას.

4 . მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსს სტანდარტის შესაბამისად. და ბუღალტრულიაღრიცხვის, ანგარიშგებისა

და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე,თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულებით აღრიცხვის წესით, წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, თუ საგანგებოდ არ არის სხვა რამემითითებული.

5. ფუნქციონირებადი საწარმო

ჯგუფის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორცფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

6. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტკის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულადგამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

7. მოქმედი და წარსადგენი ვალუტა

ჯგუფის მოქმედი ვალუტა არის და შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულიაეროვნული ვალუტა „ლარი", რომელიც ასახავს ძირითად მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ქართულ ლარებში ოპერაციის დღისთვის დადგენილი კურსების შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში დომინირებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშებალარებში ფინანსური ანგარიშგების შედგენის დღეს არსებული გაცვლითი კურსების შესაბამისად. საკურსო სხვაობებიდან მიღებული ფინანსური შედეგი აისახება იმ პერიოდის მოგება–ზარალის ანგარიშგებაში როდესაც ის წარმოიშვა.
2019 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ იყო 2,8677 ხოლო
2020 წლის 31 დეკემბრისთვის არსებული გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ იყო 3,2766, რომელიც ორგანიზაციამ გამოიყენა ფინანსური ანგარიშგების შედგენისას.

8. ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

შემოსავლების (ამინაგების) აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსულობები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, რომელ პერიოდშიც იქნა გამომუშავებული, მიუხედავად მისი სანაცვლო ფულადი სახსრებისა, ან სხვა ეკონომიური კომპენსაციის ფაქტიურად მიღების მომენტისა. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით. შემოსავლი (ამონაგები) მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია,აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

9. ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკურისარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან,
რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. თუ ეკონომიკური სარგებელი მოსალოდნელია რომ წარმოიქმნება რამდენიმე სააღრიცხვო პერიოდის განმავლობაში, მასთან დაკავშირებული ხარჯებისრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება გონივრული განაწილების საფუძველზე.

10. ფინანსური აქტივები

მსს სტანდარტის 11 განყოფილების შესაბამისად, ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამიზნულ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით,რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში.კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამიზნული ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები. ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

11. ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია ინდივიდუალურად მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები, რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივადშეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ესშემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდებამანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალისნებისმიერი შემდგომი შემობრუნების აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემობრუნების თარიღისთვის. უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურისჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღებამოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილითანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურებისხარჯს. კომპანიას ფინანსური აქტივების გაუფასურება არ ჰქონია.

12. ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსურიაქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება,მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

13. ნასესხები სახსრები

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულებაშესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

14. ურთიერთგაქვითვა

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით. კომპანიას არ გაუქვითავს თავისი აქტივები და ვალდებულებები, ან შემოსავალი და ხარჯები.

15. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულებამოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო
ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან
დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა
საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივისშეკეთებასა და
შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი
საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო
ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი
ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ,
როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს
აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო
მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობითსაწარმოსათვის და ეყრდნობა
მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და
ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ძირითადი საშუალების ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წლები)
შენობა -ნაგებობები	10-20 წ
მანქანა-დანადგარები	3-5წ
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-3 წ
ოფისის აღჭურვილობა	2-3წ
სატრანსპორტო საშუალებები	3-5წ
კომპიუტერული ტექნიკა	5წ

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმშემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.
ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაცმისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.
ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდებაიმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

16. საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება არის ქონება (მიწა ან შენობა, ან შენობის ნაწილი ან ორივე), რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საიჯარო შემოსავლების მიღების ან ღირებულების ზრდის ან ორივე მიზნით, გარდა ისეთი მიზნებისა, როგორიცაა:

- გამოყენება საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის;
- გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება არის ქონება, რომელსაც ფლობენ (მესაკუთრე ან მოიჯარე ფინანსური იჯარის პირობებში) საქონლის წარმოების ან მიწოდების, მომსახურების გაწევის ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის.
საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება იმ შემთხვევაში, როდესაც მოხდება ქონების გასვლა ანშეწყდება გამოყენება და მოსალოდნელი აღარ იქნება მომავალი ეკონომიკური სარგებელი მისი გასვლიდან. საინვესტიციო ქონების გასვლის შედეგად წარმოშობილი მოგება ან ზარალი განისაზღვრებაროგორც სხვაობა გასვლის შედეგად მიღებულ შემოსავალსა და ქონების საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგებაში ან ზარალში

17. მარაგები
კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, აგრეთვე იმ დანახარჯებს, რომელიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისა და სათანადო მდგომარეობაში მოყვანისათვის. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულება არის შეფასებითი გასაყიდი ფასი, პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისათვის საჭიროშეფასებითი

დანახარჯების გამოკლებით.
მარაგების ჩამოწერა ხორციელდება საშუალო შეწონილი მეთოდით.

18. საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით,რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისადა სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში.
საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

19. ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვისმეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

20. გადასახადი

გადასახადების გაანგარიშება და გადახდა განხორციელდა საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობით, და აისახა ანგარიშგებაში საგადასახადო კოდექსის მოთხოვნების შესაბამისად. საგადასახადო კოდექსის მოთხოვნები გათვალისწინებულია ეკონომიკური საქმიანობის უფლების მქონეერთეულების მიერ აქტივების და ვალდებულებების შეფასებისას.

21. მოგების გადასახადი

ჯგუფი მოგების გადასახადს განსაზღვრავს საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობის თანახმად დაბეგვრას ექვემდებარება მხოლოდ მფლობელებს შორის განაწილებული მოგება და რეინვესტირებული მოგება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით (საქართველოს საგადასახადო კოდექსის 981მუხლითა და 309-ე მუხლის 99-ე და 103-ე ნაწილებით გათვალისწინებული გამონაკლისების გარდა). მოგების გადასახადის ვალდებულება გამოითვლება როგორც 15/85 განაწილებული დივიდენდის თანხიდან.

22 . კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედისმიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, გადაფასებული და სხვა რეზერვებისგან .
კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

23. საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, თუ იგი არ ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას მოიჯარისთვის.

საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულების" ან „ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების" მუხლში თავისი შინაარსისმიხედვით. კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები. საიჯარო შემოსავალი წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდისშემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „სხვა შემოსავლების"მუხლში.

24. ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულებისსაიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლისშემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულიარაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები აღიარდება, როდესაც:

- კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;
- სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;
- შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

25. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციისთარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულშენიშვნებში.

26. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა

ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოსამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

<u>ა)ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები</u>

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რაპერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითიცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

<u>ბ) გადასახადები</u>

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდებამაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის,რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

27. უცხოური ვალუტის კონვერტაცია

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რაც კომპანიის წარსადგენი ვალუტა და კომპანიის ყველა კომპონენტის სამუშაო ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

28. ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები

ფიანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის და შემდგომ პერიოდში მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან ორგანიზაციების ფინანსური მდგომარეობის შესახებ, ასახულია ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებში. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები ასევე დამატებით მოიცავს ისეთ ინფორმაციებს, რომლებიც არაფინანსური ხასიათისაა და არ არის არც ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შემადგენელი ნაწილი, თუმცა, საჭიროა ანგარიშგებაში მოცემული ფინანსური ხასიათის ინფორმაციის ასახსნელად.

შენიშვნა -4
ძირითადი საშუალებები

ლარში	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა - ნაგებობები	მანქანა-დანადგარები	ავეჯი და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	მიწა	ჯამი
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	**63,657**	**2,178,451**	**17,828**	**152,845**	**19,161**	**219,868**	**16,332**	**281,401**	**2,885,886**
შესყიდვა	-	7,625	-	-	508	1,400	-	-	9,534
გასვლა	-	47,927	7,326	-	-	2,000	-	21,265	78,518
გაუფასურება	-	-	-	-	-	-	-	-	-
შიდა ჯგუფური რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	-	-	-
გადაფასების რეზერვი	-	-	-	-	-	-	-	-	-
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	**63,657**	**2,138,149**	**10,501**	**152,845**	**19,670**	**219,268**	**16,332**	**260,137**	**2,816,902**
დაგროვილი ცვეთა									
2019 წლის ბოლოს მდგომარეობით	**63,657**	**1,964,043**	**17,075**	**152,845**	**16,827**	**179,916**	**11,912**	**281,401**	**2,624,020**
ცვეთის ხარჯი	-	226,637	3,056	11,135	4,775	41,392	2,858	-	289,853
გასული აქტივის დაგროვილი ცვეთა	-	-	-	-	-	1,222	-	-	1,222
2020 წლის ბოლოს მდგომარეობით	**63,657**	**1,737,406**	**20,131**	**141,710**	**12,052**	**137,301**	**14,770**	**260,137**	**2,254,427**
საბალანსო ღირებულება									
2019 წლის ბოლოს	**63,657**	**1,964,043**	**17,075**	**152,845**	**16,827**	**179,916**	**11,912**	**281,401**	**2,624,020**
2020 წლის ბოლოს	**63,657**	**1,737,406**	**20,131**	**141,710**	**12,052**	**137,301**	**14,770**	**260,137**	**2,254,427**

შენიშვნა - 6 ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ლარში	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ფული სალაროში	78,602	81,482	54,823
ფული საბანკო ანგარიშებზე	7,581	1,123,606	4,804
	86,183	**1,205,088**	**59,628**

შენიშვნა - 7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

ლარში	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო დებიტორული დავალიანებები		5,352,849	2,872,089
საეჭვო ვალების ანარიცხების რეზერვი	-	-	-
სხვა მოთხოვნები	6,791,247	5,685,624	4,386,412
	12,144,095	8,557,713	4,764,637

შენიშვნა - 8 მარაგები

ლარში	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
საქონელი	65,369	48,428	60,766
ნედლეული	-	-	-
დაუმთავრებელი წარმოება	-	-	-
საქონელი	-	-	-
სხვა მარაგები	202,652	1,842	4,744
	268,021	50,270	65,510

შენიშვა - 9 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

ლარში	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
სავაჭრო ვალდებულებები	314,951	278,171	229,122
გადასახდელი ხელფასები	51	954	-
ბანკის სესხი	-	-	-
მოკლევადიანი სესხები	2,000	2,000	39,230
გადასახდელი პროცენტები	3,318,207	2,692,972	2,240,124
საგადასახადო ვალდებულებები	43	23,666	1,372
სხვა ვალდებულებები	9,270	9,270	-
	3,644,522	3,007,033	2,509,847

შენიშვნა - 11 სესხები

ლარი	**გრძელვადიანი**			**მოკლევადიანი**		
	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ბანკის სესხები	-	-	-	-	-	-
სხვა სესხები	25,339,161.68	9,930,665.92	6,711,746.37	39,230	2,000	2,000
ოვერდრაფტები	-	-	-		-	-
სულ სესხები	25,339,162	9,930,666	6,711,746	39,230	2,000	2,000

შენიშვნა - 12 **ამონაგები**

ლარი	**31/12/2020**	**31/12/2019**	**31/12/2018**
პროდუქციის რეალიზაცია	312,703	303,109	73,748
სხვა წმინდა შემოსავალი ძირ. საშვალების რეალიზაციიდან		550	508
მიწის რეალიზაცია	3,301,369	2,459,935	-
მომსახურების რეალიზაცია	255,099	361,994	102,458
	3,869,721	**3,125,547**	**1,109,603**

შენიშვნა - 13 **თვითღირებულება**

ლარი	**31/12/2020**	**31/12/2019**	**31/12/2018**
პროდუქციის თვითღირებულება	217,223	212,824	48,577
სხვა წმინდა შემოსავალი ძირ. საშვალების თვითღურებულება		1,900	2,073
მიწის თვითღირებულება	21,265	19,599	-
მომსახურების თვითღირებულება	4,031	5,018	44,895
	244,419	**239,513**	**1,027,310**

შენიშვნა - 14 მიწოდების და მარკეტინგის დანახარჯები

	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
სარეკლამო ხარჯები	26,670	11,997	78,734
საწვავის ხარჯი	14,584	22,362	4,295
სატრანსპორტო მომსახურების ხარჯი	6,657	15,396	1,176
რეალიზაციის დანახარჯები	2,895	40,644	16,703
Check	**50,807**	**90,400**	**100,909**

შენიშვნა -15 **სხვა ხარჯი**

	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
ლარი			
დებიტორული დავალიანების რეზერვის ხარჯი	-	336.00	-
წარმომადგენლობითი ხარჯი	1,858.57	5,375.26	35,839.70
სხვა ხარჯი	10,659.67	8,644.50	6,965.62
მოგების გადასახადის ხარჯი - კანონმდებლობის თანახმად	-	2,653.77	705.81
ქონების გადასახადი	4,126.87	20,595.21	6,306.94
	16,645	**37,605**	**49,818**

შენიშვნა -16 **ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი**

ლარი	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
შრომის ანაზღაურება	182,987.21	347,798.67	97,844.11
ცვეთა და ამორტიზაცია	290,165.79	254,913.39	118,914.69
დაზღვევის ხარჯი	16,478.31	13,116.51	7,084.07
საგადასახადო ხარჯი	-	-	-
საკონსულტაციო ხარჯი	30,816.66	35,054.34	5,677.97
რემონტის ხარჯი	39,852.49	47,327.64	195,013.51
ბანკის მომსახურება	16,154.15	2,901.03	11,851.61

წარმომადგენლობითი ხარჯები	-	6,388.49	3,528.17
იჯარის ხარჯი	64,224.96	57,850.04	40,113.79
კომუნალური ხარჯი	50,583.08	74,915.99	20,179.98
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	48,046.47	56,146.25	321,507.67
კომუნიკაციის ხარჯები	14,847.78	14,370.32	18,229.17
	754,157	**910,783**	**839,945**

შენიშვნა - 17 **ფინანსური ხარჯი**

ლარი	31/12/2020	31/12/2019	31/12/2018
სესხის პროცენტი	481,358.29	101,567.10	130,226.38
სხვა ფინანსური ხარჯები	563,394.42	363,531.62	318,974.34
	1,044,753	**465,099**	**449,201**

1. ფინანსური ინსტრუმენტები - რისკების მართვა

საქმიანობის პროცესში კომპანია დგას შემდეგი ფინანსური რისკების წინაშე:
• საკრედიტო რისკი
• ლიკვიდურობის რისკი
• საბაზრო რისკი:
სხვა ბიზნესების მსგავსად, კომპანია დგება სხვადასხვა რისკის წინაშე ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების შედეგად. ეს შენიშვნა აღწერს კომპანიის მიზნებს, პოლიტიკასა და პროცესებს, რათა მართოს აღნიშნული რისკები და წარმოადგენს მეთოდებს მათ შესაფასებლად.

ზოგადი მიზნები, პოლიტიკა და პროცესები
კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია საერთო პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის მიზნებისა და პოლიტიკის განსაზღვრისთვის, ამასთანავე პასუხისმგებლობის შენარჩუნებასთან ერთად, მიზნებისა და პროცესების ეფექტურად დანერგვისთვის მას დელეგირებული აქვს პროცესების შემუშავებისა და ოპერირების უფლება ორგანიზაციის ფინანსური მხარისთვის.

საკრედიტო რისკი
საკრედიტო რისკი არის ფულადი ზარალის მიღების რისკი დებიტორის ან სხვა კონტრაგენტის მიერ კრედიტორული დავალიანების არდაფარვის შემთხვევაში. კომპანიის საფრთხეს საკრედიტო რისკთან დაკავშრებით განაპირობებს თითოეული მომხმარებლის ინდივიდუალური მახასიათებლები.
კომპანიის მენეჯმენტმა დააფუძნა საკრედიტო პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც ყოველ ახალ კლიენტს უკეთდება ანალიზი სანამ კომპანიის სტანდარტულ გადახდისა და მიტანის პირობებს შესთავაზებენ.

საბაზრო რისკი
საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების გამო. კომპანია ბალანსის შედგენის თარიღისთვის არ ელოდება რაიმე სახის დანაკარგებს ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულების ცვილების გამო.

საბაზრო რისკი ჩნდება იმის გამო, რომ კომპანია იყენებს ფინანსურ ინსტრუმენტებს უცხოურ ვალუტაში. არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტების მომავალი ფულადი ნაკადების რეალური ღირებულება იქნება არამყარი საპროცენტო განაკვეთის (საპროცენტო განაკვეთის რისკი) და კურსთა შორის სხვაობის გამო.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი არის რისკი, რომ ორგანიზაციას შეექმნება სირთულეები მიმდინარე ფინანსური ვალდებულებების დაფარვის საკონტრაქტო პირობების შესრულებისას, რამაც შესაძლოა მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს ორგანიზაციის ფუნქციონირებაზე. ლიკვიდურობის რისკის წინდახედული მექანიზმი გულისხმობს საკმარისი თანხისა და საკრედიტო რესურსების ქონას, რათა დაკმაყოფილებულ იქნას ბაზრის მოთხოვნა;

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2020 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ჰქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცებულია 2021 წლის 1 სექტემბრით;

დირექტორი:

სს "კასს გრუპ"
404477954
JSC KASS GROUP